სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/176

ქ. თბილისი

20 ოქტომბერი 2025წ

უნივერსიტეტის ზოგიერთი ფაკულტეტის რეორგანიზაციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ და „რ²“ ქვეპუნქტების შესაბამისად, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის სხდომის № ოქმის, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის სხდომის № ოქმის, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის სხდომის № ოქმის, უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის, თამარ წერეთლის და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის №01-05-02/23 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. განხორციელდეს უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტების რეორგანიზაცია და 2025/2026 სასწავლო წლის პირველი (შემოდგომის) სემესტრიდან საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქვემოთ ჩამოთვლილი საგანმანათლებლო პროგრამები გადატანილი იქნეს უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე:

საზოგადოებასთან ურთიერთობა - საბაკალავრო (ქართული);

საზოგადოებასთან ურთიერთობა - სამაგისტრო (ქართული).

2. განხორციელდეს უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა და სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტების რეორგანიზაცია და 2025/2026 სასწავლო წლის პირველი (შემოდგომის) სემესტრიდან საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქვემოთ ჩამოთვლილი საგანმანათლებლო პროგრამები გადატანილი იქნეს უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე:

ევროპოსმცოდნეობა - საბაკალავრო (ქართული);

ევროპოსმცოდნეობა - სამაგისტრო (ქართული).

3. რეორგანიზებული იქნეს უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების და სოციალური მეცნიერებების აკადემიური დეპარტამენტები და შეიქმნას ფილოსოფიისა და სოციალური მეცნიერებების აკადემიური დეპარტამენტი.

4. ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე შეიქმნას საზოგადოებასთან ურთიერთობების აკადემიური დეპარტამენტი.

5. გაუქმდეს საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის და სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტთაშორისი აკადემიური დეპარტამენტი და სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე შეიქმნას პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიური დეპარტამენტი.

6. მიღებული იქნეს წინადადება საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასახელების შეცვლის თაობაზე და ეწოდოს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

7. მოწონებული იქნეს ფაკულტეტების რეორგანიზაციასთან და პროგრამების გადატანასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილებების პროექტები ფაკულტეტების საშტატო ნუსხებსა და დებულებებში.

8. წინადადება ფაკულტეტების რეორგანიზაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით და შესაბამისი ცვლილებები ფაკულტეტის საშტატო ნუსხებსა და დებულებებში დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).

9. განხორციელდეს ამ დადგენილების პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის, აგრეთვე

მოწვეული სპეციალისტების (პროფესორების) თანამდებობრივი ცვლილება/გადაყვანა უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიებისა და სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტებზე წარმოდგენილი საშტატო ნუსხის პროექტის შესაბამისად.

10. დადგენილების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურმა.

11. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**